რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თვილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 7 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

კინტო

კომედ. 3 მოქ. თ. აკაკი წერეთლისა. კინტოს როლს აასრულებს ქალბ. ანდრონიკოვისა.

II

ოინბაზი

ვოდევილი 1 მოქმ. ა. ცაგარელისა. დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 4 ნოემბერს. მმართლმადიდებელნი ეკკლესიანი და სხვათა შორის უწმიდესი სინოდი კანონიერად არ ხადიან ამორჩევას ახალის პატრიარქის იერუსალიმისა და ითხოვენ, რომ ამორჩევა ხელ-ახლად მოხდეს; ამის გამო პორტამაც ვერ დამტკიცა ახლად ამორჩეული პატრიარქი.

გაზ. „რუსის ინვალიდში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ ამ ჟამად მაიორის ჩინში მყოფთ მიეცესთ პოლკოვნიკობა და როტმისტრებს—პოდპოლკოვნიკობა. ეს წესი შემოღებულ იქმნას სამი წლის შემდეგ მაიორის ჩინის მოსპობიდან.

პეტერბურღის ფრანცუზული ჟურნალის სიტყვით უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრი, გირსი მიემგზავრება სამზღვარ გარეთაო. სამინისტროს მმართველად დროებით გლანგელს გარდაეცა.

პეტერბურღის ბირჟა, 4 ნოემბერს

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 | 75 |
| მეორესი — — — — | 91 | „ |
| მესამესი — — — — | 91 | „ |
| მეოთხესი — — — | 90 | 50 |
| მეხუთესი — — — | 90 | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 88 | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 88 | 37½ |
| აღმოსავლეთის მესამე | 88 | 37½ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 27 |
| შინაგანის 5% სესხის ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 211 | 25 |
| მეორე სესხის — — | 203 | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 | 3 | პენსი |
| ჰამბურღი — | 204 | 12 | ცენტი |
| პარიჟი — — | 239 | „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ | „ | პფენიგი |

## დღიური

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ კვირას, 7 ნოემბერს ქალაქის რჩევის ზალაში დანიშნულია კენჭის-ყრით აღრჩევა ხმოსნებისა პირველ ხარისხის (რაზრიადის) ამომრჩეველთაგან. მეორე ხარისხის ამომრჩეველთა კენჭის-ყრა მომავალ კვირას, 14 ს., იქნება და მესამისა კი შემდეგ კვირას, 21 ნოემბერს.

***

ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ ტიტულიარნი სოვეტნიკის დავით ბ. მიქიაშვილის განცხადება, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ის მომავალის წლის 1 იანვრიდამ ჰხსნის ქუთაისში 30 ყმაწვილისათვის დასადგომ სახლს, რომელშიაც შაგირდებს ექნებათ, სადგომს გარდა, საჭმელ-სასმელი, შეშა, სანთელი, სარეცხი და სხვა ყოველაფერი, გარდა ტანისამოსისა, და ყველა ამისათვის ბ. მიქიაშვილი აიღებს წელიწადში შაგირდზე 300 მანეთს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქუთაისში ერთობ დიდი სიძვირეა შაგირდების მოსათავსებელ სადგომებისა და ამის გამო ხშირად მშობლები ულაგო ალაგს აყენებენ თავიანთ შვილებს,—ამ გვარი სადგომის გამართვა კარგი აზრია და სასარგებლოც იქნება. ვინატრით მხოლოდ, რომ ამ საქმის მოთავეს რიგიანად და პატიოსნად შეესრულოს ყველა ის, რასაც ჰკისრულობს და რასაც საქვეყნოდ აცხადებს.

***

გაზ. „რუსის კურიერში" იწერებიან ბათომიდან: დერპტის უნივერსიტეტის დოცენტის—პეტერსენის გამოკვლევით, რომელიც ამ მიზნით იყო გამოგზავნილი ბათომის ოლქში პეტერბურღის გეოგრაფიულ საზოგადოებისაგან, აღმოჩნდა: ა) რომ ფლორა (ცხოველები) ამ ოლქისა შეედრება საშუალო ევროპის ფლორას. საკვირველია, რომ თითქმის თვალ-უწვდენელ ტყეებში ბათომის ოლქისა სულ არ შეხვდებით ფრინველებსაო; ბ) ბ-ნმა პეტერსენმა აღმოაჩინა, რომ იმ ჟამად მცხოვრებთა უმეტეს რიცხვს ბათომში ჩახიზნული სომხები შეადგენენო; გ) ბუნება ამ მხარესი მეტად მარგებელიაო და ამის გამო ავად-მყოფობა იშვიათი; ბუნების სიმდიდრით მეტად შესანიშნავია არტვინის მაზრა; ეს მაზრა მითაც შესანიშნავია, რომ აქ შეხვდებით ძრიელ ლამაზ ქალებს, რომელთაც ოლქის სხვა მხარეში ვერ ნახავთ. ამ მაზრაში ბლომად არის გაშენებული თუთის ხეები და აქედან აბრეშუმის წარმოებაც; მაგრამ ეს წარმოება რიგიანად ვერ მიდის და, გამომკვლეველის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას მიექცია ამ საგნისათვის საჭირო ყურადღებაო. ამასთანავე მცხოვრებთ მოჰყავთ აგრეთვე ხილეულობაც, და უმთავრესად ვაზი და ზეთის ხილი. ბ-ნი პეტერსენის აზრით, ბათომის ოლქი მდიდარია და ტურფა, მაგრამ მცხოვრებნი ვერ ჰხედვენ ამას, ვერ ადევნებენ რიგიანად თვალ-ყურს ბუნებას, თუმცა ეს თვისებანი თან შეზრდილი აქვსო, სწავლულის აზრით, ყველა აღმოსავლეთის ხალხს.

---

შეცდომა. „დროების" № 230-ში დაბეჭდილი დასასრული მოთხრობისა „მამის-მკვლელი", სტატიების რიგზე დაწყობის დროს, ისეთ ნაირად არეულია, რომ მკითხველს გაუჭირდება გაგება. ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ ეს დასასრული ან გაზეთშივე დავბეჭდოთ ხელ-მეორედ, ან ცალკე, და გაზეთით დაურიგოთ ჩვენს ხელის-მომწერლებს.

## ეპშტეინის იუბილეი

ძვირად ღირსებია ვისმე თავის სიცოცხლეში ისეთი პატივის, ღრმა თანაგრძნობისა და სიყვარულის გამოცხადება, როგორც ტფილისმა გამოუცხადა ე. ი. ეპშტეინს 25 წლის განმავლობაში მუზიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის.

ჩვენი საზაფხულო თეატრის ზალა 4 ნოემბერს წარმოადგენდა ერთს დიდ ოჯახობას, რომლის წევრნი დანათესავებულან მუზიკისადმი საზოგადო სიყვარულითა. ეს უბრალო კონცერტი კი არ იყო, რომელზედაც მოგროვდებიან ხოლმე ერთმანეთის უცნობი პირნი მუზიკის მოსასმენელად; არა, თითქმის ყველა აქ დამსწრე ბ. ეპშტეინისადმი მადლობისა და თანაგრძნობის გამოსაცხადებლად იყვნენ შეკრებილნი.

მართლაც, ყველა ამ კაცს უმადლოდეს იმ მუზიკალურ განათლებისათვის, რომელიც ამან მოჰფინა ჩვენი ქალაქის ოჯახებში.

კონცერტი სწორედ 8 საათზე დაიწყო.

ფარდის ახდის შემდეგ, ჩვენ დავინახეთ იუბილიარის შაგირდები—ვაჟები და ქალები ტფ. მუზიკალურ სკოლის დირექტორით ვ. ი. ალიხანოვით, რომელნიც იდგნენ სცენაზე. ბ. ალიხანოვმა წაიკითხა ადრესი, რომელშიაც მშვენიერად, გრძნობით სავსე სიტყვებით გამოხატული იყო მადლობა როგორც შაგირდებისა, აგრეთვე თვით მთელის საზოგადოებისა.

ადრესის წაკითხვის შემდეგ, იუბილიარს მიართვა ბ. ალიხანოვმა რგვალი ყუთი, 12 გოჯი სიგანე, რომელშიაც ერთის მხრით გაკეთებული იყო სურათი ბ. ეპტეინისა და მეორეს მხრით კი მოსევადებულის ვერცხლის გვირგვინი ჩანგით და შიგ წარწერით „отъ учениць и учениковъ". დიდი აღტაცება მოახდინა ამ სურათმა ბ. იუბილიარზე, იმის შაგირდებზე და თვით საზოგადოებაზედაც.

შემდეგ კონცერტი დაიწყო. ჩვენ არ შეუდგებით მოთამაშეებისაგან თავის პარტიების შესრულების აღწერას. საკმაო მოვიხსენოთ მხოლოდ გვარები კონცერტში მონაწილეობის მიმღებთა:

ვერსევანოვისა, ენაკოლოფოვისა (მაკაროვიჩის ქალი), ხოსროევისა, ყორღანოვისა და სხვ.

ანტრაქტში თითქმის მთელი საზოგადოება მიაწყდა იუბილიარის ლოჟას მოსალოცავად.

კონცერტის მეორე განყოფილებაში ბ-ნი ეფშტეინის ერთმა შაგირდმა ქალმა—ხოსროევისამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავის მშვენიერის ფორტეპიანოზე დაკვრით ბეტხოვენის კონცერტისა. საზოგადოებამ გამოიხმო ამ ქალის ოსტატი ბ-ნი იუბილიარი და უანგარიშო თაიგულები ესროლა სცენაზე, აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა. რამდენჯერმე გამოიხმეს ბ-ნი ეპშტეინი; ის გამოდიოდა სცენაზე თავის ახალგაზდა შაგირდით, რომლითაც, როგორც ეტყობოდა, ამაყობდა.

აფიშაში სხვათაშორის, მოხსენებული იყო, ბ-ნი ქ. ალიხანოვი და ზამბაროვის ქალი მიიღებენ კონცერტში მონაწილეობასაო. სამწუხაროდ, ზამბაროვისას არ მიუღია მონაწილეობა და ბ-ნი ალიხანოვი კი მხოლოდ აკომპანიმენტს იჭერდა ფორტეპიანოზე სიმღერის დროს და ნოტებს აბრუნებდა. ბ-ნი ა. მიზანდარი სულაც არ ყოფილა ამ კონცერტზე.

ბ-ნს ეპშტეინს მარტო ის დამსახურება კი არ მიუძღვის, რომ ის ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა შაგირდებს ჩვენს ქალაქში; არა, უფრო მომეტებული დამსახურება იმისი ის არის, რომ იმ კონცერტებმა, რომელნიც იმის ხელმძღვანელობით იმართებოდა, მუზიკალური გემო გახსნის ჩვენს საზოგადოებაში და კლასიკური მუზიკა შეაყვარეს იმის შაგირდებმა.

ბოლოს ვისურვებთ, რომ იუბილიარის მოღვაწეობა დიდხანს არ შეწყვეტილიყოს ჩვენს ქალაქში მუზიკალურ განათლების მოსაფენად.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

თქვენგან გამოცემულს პატივცემულს გაზეთ „დროების“ 219 ნომერში დაბეჭდილი არის მოკლე შენიშვნა შესახებ ეკკლესიისა კოჯორთან სიახლოეს მდგომარისა, რომელსაც ეწოდება უძო. შენიშვნის ავტორის სიტყვით, ვითომც ამ ეკკლესიას შემოსავალი აქვს წელიწადში სამოცი თუმანი; ვითომც მღვდელმა მახათაძემ შეკრიბა 1881 წელსა გზის დათოხვების გასაკეთებლად ფული, მაგრამ ეს უკანასკნელნი ისევ იმ მდგომარეობაში არიან, როგორც იყვნენ ასის და ორასი წლის წინეთ; და, ვითომც მე რევიზიისათვის როდესაც დავდიოდი, სოფელს წავკისში ვსვი, ვჭამე და პრიუტისაკენ გავემგზავრე, ამ ეკკლესიას კი ზედაც არ შევხედე.

რადგანაც ეს შენიშვნა მეც შემეხება, ამის გამო მდაბლად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, მისცეთ ამ ჩემს პასუხს ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში უმახლობელეს ნომერში.

მართალია, რევიზია ეკკლესიებისა ჩემზედ იყო მონდობილი და, სხვათა შორის, ამ ხსენებულს უძოს ეკკლესიასაც ვნახავდი, მაგრამ მიზეზი ის იყო, რომ ჩემს გავლის დროს კაცი შევგზავნე ამ ეკკლესიაში, მაგრამ აქ სრულებით არავინ იყო და მის გამო არ შეიძლებოდა მისი გაშინჯვა; ეს ხომ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ჩემი მიუსვლელობისა უფრო მდგომარეობდა შემდეგში.

წარსრულს მაისის თვეში მისმა მაღალყოვლად-უსამღვდელოესობამ, ყოფილმა ეგზარხოსმა, დღეს მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ მიიღო უსახელო წერილი რუსულად, ვითომც ხსენებულს უძოს ეკკლესიაში იყოს დიდი შემოსავალი და მით სარგებლობდეს, ეკკლესია კი არა, საკუთრად მახათაძე მღვდელი. თუმცა უსახელო წერილი არ იყო შესაწყნარებელი კანონით, მაგრამ ეგზარხოსმა გარდმომცა მე გამოსაკვლევად, რომლის შესახებ კითხულ-იქმნა წყნეთის დიაკონი დღეს მღვდელი პეტრე ინაძე, რომელმაც მღვდელობით აჩვენა, რომ იმ ეკკლესიაში თვით დღესასწაულის დღეს გაიყიდება წმინდა სათელი არა უმეტეს სამის თუმნისა და სხვა დღეებში კი კვირაში ათი შაურისა ანუ მცირედ მეტნაკლებისა; სხვა შემოსავალი, ე. ი. საპარაკლისო სულ მცირედ.

შემდეგ ამისა ყოფილმა ეგზარხოსმა მომანდო, რომ პირ-და-პირ შემეტყო ეს საქმე, აბა როგორ უნდა შევიტყო ან ვის უნდა ვკითხო? ავდექ და უმჯობესად შევრაცხე, რადგანაც რევიზიაც მაქვს მონდობილი, თვით ამ ხსენებულ ეკკლესიის დღესასწაულში დავესწრა მე და ამ გვარად დავრწმუნდე უსახელო წერილის მართლობაში ანუ უმართლობაში.

ამასთან მე დიდი მადლობელი დავრჩები ამ შენიშვნის გარდმომცემს რედაქციაში, უკეთუ ის გვიჩვენებს ამ საქმის მცოდნე პირებს და რასაკვირველია, თვით თავის სახელს და გვარს პირად ანუ ისევ პატივცემულის „დროების“ საშუალებით, რომ ჩვენც შეგვეძლოს სიმართლის აღმოჩენა, და თუ ავტორმა შენიშვნისა ეს არ აღვასრულა, აბა რა იქმნება? ან ვისის საშუალებით უნდა ვსცნათ ჭეშმარიტება?

არხიმანდრიტი მაკარი

ნოემბრის, 3-ს დღესა
ტფილისი.

---

# ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების § 15 თანახმად 17 თებერვლის 1881 წლისა, ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 7-ს ამ 1882 წლისა, შუადღეზე, ტფილისის ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში, № 13, იქნება საზოგადო გასყიდვა (უპერეტორჟკოდ) იმ ქვემო-მოხსენებულ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც ბანკიდგან აღებული ვალი დანიშნულ დროზე ვერ შემოიტანეს, ბანკის წესდების § 13, 14, 15, 17, 18, და 19 მუხლებისაგან დადგენილი.

**ჩიგიანი**, ალექსანდრე სტეფანის-ძე, საზოსტნე ყურძნისა და ხილის ბაღი და მარანი, ადგილის ზომა 5600 კვად. საჟ მე 9 უჩასტკაში, 1 განყოფილებაში ტფილისში №-რი 677 სათავნო ვალი 3301 მ. 51 კაპ. შესავსებელი გადასახადი 174 მან. 18 კ. სულ 3475 მან. 69 კაპ.

**მაღალაშვილისა**, მარიამ დიმიტრის ასული ოთხი ორ სართულიანი სახლი, ხუთის ერთ სართულიანის ფლიგელით და სარდაფი 958 კვ. საჟ. ქ. ტფილისში, მე 6 უჩას. 1-ს განყოფილებაში, ტამოქნის ქუჩაზედ. სათავნო ვალი 46,493 მან. 90 კაპ. შესავსებელი გადასახადი 4,674 მან 52 კაპ. სულ 51,168 მან. 42 კაპ.

**ლიაშენკო**, სვიმონ მოსეს-ძე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ყველა განწყობილებით ადგილის ზომა 200 კვ. საჟ. ქ. ტფილისში, მე 7 ავლაბრის უჩას. 2-რე განყოფილებაში. სათავნო ვალი 5,811 მ. 74 კაპ. შესავსები გადასახადი 355 მან. 3 კაპ სულ 6,166 მან. 77 კაპ.

**ტერ-მიქელოვი**, ასლან გაბრიელის-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 კვ. საჟ. ქ. ტფილისში. ოლგინსკაია გზა ტკეცილზედ, ჯერის მახლობლად სათავნო ვალი 6,780 მან. 36 კაპ. შესავსებელი გადასახადი 399 მან. 88 კაპ., სულ 7,180 მან. 24 კაპ.

**მირიმანოვი**, ისაკ ზაქარიას-ძე, ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი ადგილის ზომა 1,488 კვ. საჟ. ქ. ტფილისში, მე 13 ვარანცოვის უჩასტკაში, მესამე განყოფილებაში სათავნო ვალი 4,068 მან. 29 კაპ., შესავსებელი გადასახადი 348 მან. 17 კაპ. სულ 4,416 მან. 39 კაპ.

**ბაგურევიჩი**, ვიქტორ მიხეილის-ძე ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, ქ. ტფილისში. ადგილის ზომა 274 კვ. საჟ. მე ათე ნაწილში, მე 2 განყოფილებაში. სათავნო ვალი 6,207 მან. 38 კაპ. შესავსებელი გადასახადი 365 მან. 16 კაპ, სულ 6,572 მან. 54 კაპ.

**მიქელოვისა**, ეკატერინე ტერ-სტეფანოვის ასული, ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ასეთივე ფლიგელით, ადგილის ზომა 306 კვ. საჟ. ქ. ტფილისში, მე 16 ნაწილში, მე ორე განყოფილებაში, ნოვოტროიცკის პოსელენიაში, სათავნო ვალი 2,324 მან. 69 კაპ. შესავსებელი გადასახადი 305 მან. 17 კაპ. სულ 2,629 მან. 86 კაპ.

**ბეჟანბეგოვისა**. ალექსანდრა თომას ასული. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და დანარჩენის განწყობილებით. ადგილის ზომა 44 კვ. დრატნი საჟ. ტფილისში, მე სამე ნაწილში, პირველს განყოფილებაში, წყლის საზიდ ქუჩაზედ. სათავნო ვალი 6,780 მან. 35 კაპ. შესავსები ვალი 345 მან. 30 კაპ. სულ 7,126 მან. 25 კაპ.

**გარნეგ**, ბარბარე იაგორის ასული. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით. ადგილის ზომა 106 კვ. საჟ ქ. ტფილისში, მე ცხრე ნაწილში, მე ორე განყოფილებაში, სათავნო ვალი 2,930 მან. 46 კაპ. შესავსებელი გადასახადი 214 მან. 90 კაპ. სულ 3145 მან. 36 კაპ.

**ყორღანოვი**, ალექსანდრე სოლომონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ორის ერთ-სართულიანის ფლიგელით და დანარჩენის შენობებით. ადგილის ზომა 1060 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-14 უჩასტკაში, მე-2 განყოფილებაში, ავლაბარში. თავნი ვალი 11721 მან. 82 კაპ. შესავსებელი გადასახადი 970 მან. 89 კ., სულ 12,692 მან. 71 კაპ.

**ელიოზოვისა**, ელისაბედ იაკობის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ერთ-სართულიანი სახლი და ორი ფლიგელი სარდაფებით, ადგილის ზომა 203 ოთხ-კუთხი საჟ. 1 ნაწილში, 1 განყ., ქ. ტფილ. ამალლების ქუჩ. თავნი ვალი 10,745 მან. 1 კ. შესავსები გადასახადი 404 მან. 10 კ., სულ—11,149 მ. 11 კ.

**სპანდიერიანისა**, ანნა აგაპარუნის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, სარდაფია სართულით და სამი ფლიგელი ყოველის განწყობილებით. ადგილის ზომა 325 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილ. მე-4 ნაწილში, 1 განყ. № 63. თავნი ვალი 26,783 მან. 92 კაპ., შესავსებელი გადასახადი 798 მ. 98 კ., სულ—27,582 მ. 90 კ.

**ღუარსამიძისა**, ეკატერინე დავითის ასული. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფის სართულით და ყველა მოწყობილებით, ადგილის ზომა 50 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილ., პუკის მე-9 უჩ სტ., მე-2 განყ. თავნი ვალი 13,675 მან. 46 კ., შესავსები გადასახადი 773 მან. 73 კაპ, სულ—14,449 მ. 19 კ.

**ჯორჯაძე**, დავით ვახტანგის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყველა განწყობილებით, ადგილის ზომა 1,443 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 7,619 მან. 19 კ., გადასახადი 527 მან. 47 კაპ., სულ—8,146 მ. 66 კ.

**გასვიანთა** ანნა ემმანოს ასულისა, სამსონ, სტეფანე, პეტრე, იაგორ და ანნა ეფიმოვისა და სმირნოვისა მარიამ ექვთიმეს ასული, ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სხვა შიშენებული სახლებით, მიწა ზომით $250^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე-8 უჩას. მე-2 განყოფილებაში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 11721 მ. 82 კ. შესავსებელი გარდასახადი 736 მ. 8 კ. სულ 12457 მ. 90 კ.

**ყაგრიევა**, ანდრია ოსეპის-ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით ერთ სართულიანი სახლი ყოველ გვარ მოწყობილებით მიწა ზომით 104 ოთხკუთხი საჟ. მე-5 უჩას. 1-ს განყოფ. ქ. ტფილისში ფრანგების ქუჩაზე. თავნი ვალი 25201 მ. 92 კ. შესავსებელი გარდასახადი 1242 მ. 66 კ. სულ—26,444 მ. 58 კ.

**მუსხელოვი** გიორგი ივანეს-ძე, ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა ერთ სართულიანი ფლიგელით და სარდაფით სრულის მოწყობილობით. მიწა ზომით $347^{20}/_{100}$ ოთხკუთხი საჟ. მე-11 უჩ ს. მე-2 განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 13,675 მ. 46 კ. შესავსებელი გარდასახადი 679 მ. 80 კ.—სულ 14,355 მ. 26 კ.

**განგებლოვისა**, აგრაფენა ვასილის ასულისა, ორ-სართულიანი სახლი ქვითკირისა, ყოვლის განწყობილებით. მიწა ზომით 90 ოთხკუთხი საჟ. მე-8 ჩუღურეთის უჩას. მე-2 განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 7228 მ. 46 კ. შესავსებელი გარდასახადი 564 მ. 29 კ. სულ—7792 მ. 75 კ.

**გოზალოვი** გრიგორი იაგორის-ძე, სამ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით ერთ სართულიანი სახლი ყოვლის განწყობილებით, მიწა ზომით 84 ოთხ-კუთ. საჟ. მე-6 ნაწ 1-ს განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 19695 მ. 50 კ. შესავსებელი გარდასახადი 966 მ. სულ—20661 მ. 50 კ.

**ქეგამოვი** არსენ სულთანის-ძე, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელი და ვენახი და ხეხილის ბაღით მიწა ზომით 3642 ოთხ-კუთ. საჟ. ქ. ერივანში. თავნი ვალი 9768 მ. 18 კ. შესავსებელი გარდასახადი 489, სულ—10,257 მ. 18 კ.

**იახოვიჩი** ნიკოლოზ იულიანეს-ძე. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფით, სახლი და ორი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით—195 ოთხკუთხი საჟ. მე-9 ნაწილში მე-2 განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 6893 მ. 43 კ. შესავსებელი გარდასახადი 345 მ. 90 კ. სულ 7239 მ. 33 კ.

**ბარათოვი** ნიკოლოზ გრიგორის-ძე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი თავის განწყობილებით და დუქნებით. მიწა ზომით 1382 ოთხკუთხი საჟ. მე-6 ვორონცოვის ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 8862 მ. 98 კაპ. შესავსებელი გარდასახადი 441 მ. 30 კ. სულ 9304 მ, 28 კ.

**კოშორიძენი** გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და მოწყობილობით. მიწა ზომით დაახლოვებით 217 ოთხკუთხი საჟ. მე-3 ნაწილში 1-ს განყ. ქ ტფ. თავნი ვალი 19,927 მ. 9 კ შესავსებელი გარდასახადი 638 მ. 8 კ. სულ 20,565 მ. 17 კაპ.

**ციციანოვი**, გიორგი ივანეს-ძე, სახნავ-სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე მიწა ზომით $967^{1}/_{2}$ დეს. ტფ. გუბ. და მაზრაში ბორჩალოს ნაწილში სოფ. ახლალალუში, თავნი ვალი 15,832 მ. 65 კ. შესავსებელი გარდასახადი 1089 მ. 20 კ. სულ—16,921 მ. 82 კ.

ერისთავი, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე. სახნავი ადგილები ზომით 101 დესიატ. და 1600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერ., გორის მაზრაში, სოფ. ნაწ-ში. თავნი ვალი 1,979 მან. 9 კაპ., შესავსებელი გადასახადი 134 მან. კაპ. სულ— 2,113 მან. 87 კაპ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე. სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, ზომით 1651 დეს. 145 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. ბორჩალოს მაზრა, სოფ. ახტალა. თავნი-ვალი 14,843 მან. 12 კაპ. შესავსებელი გადასახადი 648 მან. სულ—15,491 მან. 12 კაპ.

რატიშვილი, მიხეილ გიორგის-ძე. სახნავი ადგილები ზომით 40 დეს. 1040½ ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. დუშეთის მაზრა, სოფ. ჟეოვრისი. თავნი-ვალი 1,488 მან. 41 კაპ. შესავსებელი გადასახადი 75 მან., 65 კაპ. სულ—1,564 მან. 1 კაპ.

ზანდუკელი, ოტია გიორგის-ძე. სახნავ-საბალახე ადგილები და ტყე, ზომით 473 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნ., დუშეთის მაზრა, სოფ. ბულაჩაურში. თავნი-ვალი 5.953 მ. 64 კაპ. შესავსებელი გადასახადი 399 მან. 59 კაპ. სულ 6,356 მან 16 კაპ.

ბაქრაძე, იოსებ დავითის-ძე. საბოსტნე ადგილები ზომით 7 დეს. 1843 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და უეზდში სოფ. სართიჭალაში. თავნი-ვალი 4,961 მან. 37 კაპ. შესავსებელი გადასახადი 340 მან. სულ—5,301 მან. 37 კაპ.

გაბაშვილები: ზაქარია, გრიგოლ, იორამია დიმიტრის-ძენი, სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 162 დეს. 398 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და უეზდი, სოფ. საგაბაშვილო. თავნი-ვალი 2,976 მან. 82 კაპ. შესავსებელი გადასახადი 139 მან. 20 კაპ. სულ—3116 მან. 2 კაპ.

მაყაშვილი, გრიგოლ რევაზის-ძე. სახნავ სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, ზომით 256 დეს. 240 ოთხ- კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და უეზდი, სოფ. ქრიამასჯვარში. თავნი-ვალი 2.487 მან. 31 კაპ. შესავსებელი გადასახადი 118 მან. სულ—2,605 მან. 31 კაპ.

ერისთავი, კოტე (იგივე იაკობ) მირიმანოზის-ძე. სახნავ-საბალახე ადგილები ზომით 119 დეს. 946 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერ., გორის მაზრ., სოფ. შულისციხეში. თავნი-ვალი 994 მან. 93 კაპ., შესავსებელი გადასახადი 54 მან. 40 კაპ., სულ—1,049 მან. 33 კაპ.

ხერხეულიძე, ქაიხოსრო ქაიხოსროს-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი, ორ-სართულიანის ფლიგელით და საჭირო შენობებითა, ადგილი ზომით 124½ ოთხ-კუთხი საჟ. მე-11 უჩასტ. 2 განყო. ქ. ტფ. თავნი-ვალი 5,679 მან. 38 კაპ. შესავსებელი გადასახადი 284 მან. 82 კაპ. სულ—5,964 მ. 20 კ.

ოქროევისა, ეკატერინე არტემის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ადგილით ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ. მე-5 უჩასტ. 1 განყ. ქ. ტფილისში № 299. თავნი ვალი 5,163 მან. 6 კაპ., შესავსებელი გადასახადი 210 მან. 60 კაპ. სულ—5,373 მან. 66 კაპ.

საფრონოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თან ადგილი ზომით 146 ოთხ-კუთხი საჟ. მე-11 უჩასტ. 2 განყ. ქ. ტფ., თავნი ვალი 516 მან. 31 კაპ. შესავსებელი გადასახადი 54 მან. 96 კაპ. სულ—576 მან. 27 კაპ.

ხანდამოვი, მირონ ფრიდონის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ზომით ადგილი $54\frac{65}{100}$ ოთხ-კუთხი საჟ. მე 2 უჩასტ. 1 განყ. ქ. ტფილ. თავნი ვალი 3,442 მან. 2 კაპ. შესავსებელი გადასახადი 320 მან. 76 კაპ. სულ—3,762 მან. 78 კაპ.

არეშოვი, ნიკოლოზ სიმონის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ადგილით, ზომით 26 ოთხ-კუთხი საჟ და 6 ოთხ კუთხი არშინი. მე-5 უჩასტ. 1 განყ. ქ. ტფილისისა. თავნი ვალი 3011 მან. 80 კაპ., შესავსებელი გადასახადი 270 მან. 71 კაპ., სულ—3282 მ. 51 კ.

ერისთავისა, ილიტე დიმიტრის ასული. ორ-სართულიანი ქვის სახლი და ბაღი, ზომით ადგილი 500 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 8,718 მან. 63 კაპ., შესავსებელი გადასახადი 667 მან. 73 კაპ., სულ—9,386 მან. 36 კაპ.

ალენიკოვისა, სალომე გიორგის ასული. ორ-სართულიანი ქვის სახლი, ორ-სართულიანის ფლიგელით, ადგილი ზომით 88 ოთხ-კუთ. საჟ. 1½ ოთხ-კუთხი არშ., 1 უჩასტ. 1 განყ. ქ. ტფილისისა. დავითის ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,487 მან. 40 კაპ., შესავსებელი გადასახადი 202 მ. 80 კ., სულ—3,690 მან. 20 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს-ძე. ორი ქვის ორ-სართულიანი სახლები ადგილით, ზომით სიგრძით 28 საჟ. სიგანით 13 საჟ, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 4,795 მან. 20 კაპ., შესავსებელი გადასახადი 460 მან. 27 კ., სულ—5,255 მ. 47 კ.

ერისთავი, ალექსანდრე პავლეს-ძე. წისქვილი და სადგომი, ადგილი ზომით 5,610 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 6,102 მან. 94 კაპ. შესავსებელი შემოსატანი 519 მან. 56 კაპ., სულ—6,622 მ. 50 კ.

პავლიევი, იაკობ სიმონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი და ადგილი ზომით—72 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-5 უჩასტ. 1 განყ. ქ. ტფილ., ნემეცის ქუჩაზედ. თავნი ვალი 370 მან. 73 კაპ., სულ—5,667 მ. 95 კ.

ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს-ძე. ორი ორ-სართულიანი სახლი, ერთ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფით და ორ-სართულიანის სხვა-და-სხვა შენობებით, ზომით ადგილი 704 ოთხ-კუთხი საჟ., მე-4 უჩასტ. 1 განყოფ. ქ. ტფილისს, ველიამინის ქუჩაზედ. თავნი ვალი 58,992 მან. 17 კაპ., შესავსებელი გადასახადი 5,105 მან. 42 კაპ., სულ—64,097 მ. 59 კ.

ორბელოვისა, სალომე იოსების ასული. ერთ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფებით და ბაღჩით, ზომით ადგილი 160 ოთხ-კუთხი საჟ. და 8 არშინი, 1 უჩასტ. 1 განყ. ქ. ტფილისისა, ერმოლოევის ქუჩაზედ. თავნი ვალი 11,186 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი 911 მან. 4 კაპ., სულ 12,097 მ. 83თ

ფუდინოვი, ისაკ ნიკიტის-ძე. ორი სამ-სართულიანი ქვის სახლი ორის სამ-სართულიანისვე ფლიგელით, ზომით ადგილით თან 156 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 არშინი, ქ. ტფ. ნორაშენსა და საზნაურო ქუჩებ შუა. თავნი ვალი 16,628 მან. 53 კ., შესავსებელი გადასახადი 1,572 მან. 13 კაპ., სულ—18,200 მ. 66 კ.

გორჯანინი, ნიკიტა ისაიას-ძე. ორი სამ-სართულიანი ქვის სახლი, ორის ორ-სართულიანის ფლიგელით და წისქვილით, ზომა აქვე ადგილის 425½ ოთხ-კუთხი საჟ., მე-12 უჩასტკ მეორე განყოფ. ქ. ტფილ. (ამ ჟამად მერვე უჩასტკაში). თავნი ვალი 56,551 მან. 90 კ. შესავსებელი გადასახადი 4,534 მან. 25 კ., სულ—61,086 მ. 15 კ.

რუსიევი-ყარჩიბაშოვი, გიორგი გიორგის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით სიგრძით 50 საჟ. სიგანით 25 საჟ., ქალაქ თელავში. თავნი ვალი 666 მან. 3 კაპ. შესავსებელი გადასახადი 79 მან. 26 კაპ., სულ—745 მან. 29 კ.

ციციანოვი, დავით ივანეს-ძე. მიწა ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ. მე-11 ნაწილში მე-2 განყოფ. ქ. ტფილისში. თავნი ვალი 1,141 მან. 79 კ., გადასახადი 69 მან. 24 კაპ., სულ—1,211 მ. 3 კ.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგორის-ძე. სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 548 დესიატ. და 1837 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ. და მაზრაში სოფ. ქაჩიქში. თავნი ვალი 7,743 მან. 84 კ. გადასახადი 489 მან. 11 კაპ., სულ—8,232 მ. 95 კ.

ალექსეევ-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე. სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 178 დესიატ. 840 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბერნ. და მაზრაში ს. ახალ-დაბაში. თავნი ვალი 3,871 მან. 91 კაპ. გადასახადი 181 მ. 60 კ., სულ—4,053 მ. 51 კ.

ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე, სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 284 დე. და 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნ. თელავის მაზრაში ს. ქოტაურში. თავნი ვალი 7,743 მან. 83 კაპ. გადასახადი 508 მან. 20 კ., სულ—8,252 მ. 3 კ.

ბარათოვი, ნიკოლოზ გიორგის-ძე. სახნავ-სათესი, სათიბი, საბალე ადგილები და ტყე მიწა ზომით 858 დესიატ. 380 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ. და მაზრაში ს. დიდ-წერაქვში. თავნი ვალი 4873 მან. 2 კაპ. გადასახადი 224 მან. სულ—5097 მ. 2 კ.

მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული. სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე მიწა ზომით 2867 დეს. 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნ. და მაზრაში სახელდობრ სადახლო, ჩაჩკანი და სხვ. თავნი ვალი 48,730 მან. 9 კაპ. გადასახადი 4054 მან. სულ—52,784 მ. 9 კ.

ციციანოვი, კირილე ელიზბარის-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 847 დესეტ. 600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბერნ. და მაზრაში ს. ახლანაღანუში (იგივე მამაი). თავნი ვალი 15,593 მ. 64 კ. გადასახადი 1089 მან. 20 კ. სულ—16,682 მ. 84 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგორის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესიატ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ. და მაზრაში ს. ბოგვში. თავნი ვალი 2923 მან. 80 კ. გადასახადი 192 მან. 80 კ. სულ—3116 მ. 60 კ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე მიწა ზომით 2365 დეს. 364 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრ. ადგილები: ბოლნისი, მუსხიკა და სხვ. თავნი ვალი 13,688 მან. 78 კაპ. გადასახადი 605 მ. 60 კ. სულ—14,294 მ. 38 კ.

სოლაღოვი, ისე ქაიხოსროს-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე მიწა ზომით 212 დესიატ. 150 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ. და მაზრაში ადგილი მალასპირი. თავნი ვალი 1,955 მან. 54 კაპ. გადასახადი 143 მ. 20 კ. სულ—2 098 მ. 74 კ.

ორბელიანი, ალექსანდრე ივანეს-ძე სახნავ-სათესი, საძოვარი, ადგილები ზომით 2189 დესიატ. და 1987 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილის. გუბერნიაში და უეზდში ს. წინანაურში, კასპში და ბაშკიჩეთში თავნი ვალი 34,221 მან. 93 კაპ. გარდასახადი 2245 მ. 16 კაპ. სულ 36,476 მან. 13 კაპ.

გახვახოვისა, ეკატერინა გიორგის ასული. სახნავ სათესი ადგილები და ტყე ზომით 308 დესიატ. 555 ოთხ-კუთხი საჟენი ტფ. გუბერნიაში თელავის მაზრაში ს. კონდოლში თავნი ვალი 2,933 მან. 30 კაპ. გარდასახადი 230 მან. 40 კაპ. სულ—3,163 მან. 70 კაპ.

თარხან-მოურავოვი, ლუკა ეტატის-ძე. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები მიწა ზომით 108 დესიატ. 1735 ოთხ-კუთხი საჟენი ტფ. გუბერნიაში გორის მაზრაში ს. ცხრუკვეთში, სათუხარლოში და სხვა თავნი ვალი 8,827 მან. 60 კაპ. გარდასახადი 595 მან 44 კაპ. სულ—9423 მ.ნ. 4 კაპ.

შტალ, ალექსანდრე ფეოდორის-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 422 დესიატ. და 1160 ოთხ-კუთხი საჟენი ტფ. გუბერნიაში გორის მაზრაში ს. ვეირებში თავნი-ვალი 3,923 მან. 37 კაპ. გარდასახადი 181 მან. 60 კაპ. სულ—4,104 მან. 97 კაპ.

ციციანოვისა, ხორეშანა თადეოზის ასულისა. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, ზომით 234 დესიატ. 1368 ოთხ-კუთხი საჟენი ტფ. გუბერნიაში დუშეთის მაზრაში ს. საგურამოში თავნი ვალი 6,865 მან. 90 კაპ. გარდასახადი 472 მან. 60 კაპ. სულ—7,338 მან. 50 კაპ.

მელიქოვი, მიხეილ ივანეს-ძე. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, ზომით 1041 დესიატინა 500 ოთხ-კუთხი საჟენი ტფ. გუბერნია და მაზრა ს. არადეთილა, ფალდან-თაქიანი და სხვა. თავნი ვალი 7,846 მან. 75 კაპ. გარდასახადი 376 მან. 20 კაპ. სულ—8,213 მან. 95 კაპ.

თუმანიშვილისა, ბარბარე ივანეს ასული (აპეკუნში). სახნავ-სათიბ. ადგილები და ტყე, ზომით 292 დესიატ. 600 ოთხ-კუთხი საჟ ტფ. გუბერნ. და უეზდი, სოფ. წოდორეთი. თავნი ვალი 6,851 მან. 40 კაპ. შესავსებელი გადასახადი 302 მან. 19 კაპ., სულ—7,153 მან. 59 კაპ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე. სახნავი-სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, ზომით 1292 დეს. 1600 ოთხ-კუთხი საჟ., ტფ. გუბერ. და

უეზ. სოფ. არულშუკი. თავნი ვალი 5,902 მან. 98 კაპ. გადასახდელი 266 მან. 40 კაპ. სულ—6,169 მან. 38 კაპ.

**ორბელიანები:** გრიგოლ და ივანე კონსტანტინეს-ძენი. სახნავ-სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 731 დეს. 1570 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერ. და უეზდ., სოფ. ყიზილაჯლო და საჯი. თავნი ვალი 6,886 მან. 80 კაპ. გადასახდელი 30 მან. 80 კაპ. სულ—7195 მან. 60 კაპ.

**ერისთავი,** კონა მირიმანოზის-ძე. სახნავ-სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1,009 დეს. ტფ. გუბ., დუშეთის მაზრისა., სოფ. წოლდო. თავნი ვალი 6,348 მან. 77 კაპ., გადასახდელი 279 მან. სულ—662 მან. 77 კაპ.

**სოლადოვი,** ისე ქაიხოსროს-ძე. სახნავ-სათიბი ადგილები, ზომით 25 დეს. 1620 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერ. და უეზდი სოფ. უუმისი. თავნი-ვალი 978 მან. 63 კაპ. შესაესებელი გადასახადი 74 მან 92 კაპ. სულ—1,053 მან 55 კაპ.

**შალიკოვები,** კონსტანტინე როსტომის-ძე, ნიკოლოზ, გიორგი და მიხეილ დიმიტრის-ძენი, მართა დიმიტრის ასული და სალომე პანტელეიმონის ასული. სახნავ-სათესი, საბალახე, სათიბი ადგილები და ტყე, სივრცით—1447 დესიატინა 2296 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. გორის მაზრაში სოფ. სკრას. თავნი-ვალი—32,295 მან. 20 კაპ., გადასახდელი 2,157 მან. 72 კაპ., სულ—34, 452 მან. 92 კაპ.

**გაბაშვილი,** ანდრია მიხეილის-ძე. სახნავ სათესი და საძოვარი ადგილები, ადგილი ზომით—106 დესიატ. 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ერთისს. თავნი-ვალი—4,893 მან 21 კაპ., გადასახდელი ვალი—680 მან. 80 კაპ., სულ—5,574 მან. 1 კაპ.

**შალიკოვი,** იოსებ ივანეს-ძე. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, ადგილი ზომით—270 დესიატ. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბურჯაანს. თავნი-ვალი 4,893 მან. 19 კაპ., გადასახდელი ვალი—272 მან. 84 კაპ., სულ—5116 მან. 3. კაპ.

**ამილახვარი,** ივანე თეიმურაზის-ძე. სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები ზომით 151 დესიატ. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტს. თავნი-ვალი—3,425 მან. 14 კაპ., გადასახდელი ვალი—155 მან. 79 კაპ., სულ—3,580 მან. 93 კაპ.

**გაბაშვილი,** იოსებ დავითის-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სამოსახლო ადგილები, ზომით 178 დესიატ. 2011 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო თხინვალს. თავნი-ვალი—2,935 მან. 91 კაპ., გადასახადი ფული—172 მან., 10 კაპ. სულ—3,108 მან. 1 კაპ.

**ორბელიანი,** ვახტანგ ვახტანგის-ძე. სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, ზომით—1977 დესიატ. 1280 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ძველ-დუმანისში, საჭარლოს და ვარტევანის-სოფელს. თავნი-ვალი—13,700 მან. 98 კაპ., გადასახდელი ფული—587 მან. 8 კაპ., სულ—14,288 მან. და 6 კაპ.

**ანდრონიკოვი,** რევაზ იოსების-ძე. საბალახე ადგილები და ტყე, ზომით—1053 დესიატ. 1440 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს. თავნი-ვალი—2,935 მან. 91 კაპ, გადასახდელი ფული—115 მან. 21 კაპ.. სულ—3,051 მან. 12 კაპ.

**ერისთავი,** იოსებ დავითის-ძე. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე; ზომით—900 დესიატ. ტფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი-ვალი—2,642 მან. 32 კაპ., გადასახდელი ვალი—122 მან. 93 კაპ, სულ—2,775 მან. 25 კაპ.

**მელიქოვი,** ივანე ალექსანდრეს-ძე სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 1599 დესიატ. 760 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, თოხლიკინცას, სადახლოს და ქვემო-ცოფს. თავნი-ვალი—27,453 მან. 37 კაპ., გადასახდელი ვალი—884 მან. 16 კაპ. სულ—28,337 მან. 53 კაპ.

**კობაიძე,** მახარე ლაზარეს-ძე, **წიკლაური** გივი პაატას-ძე და სხვანი. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით—453 დესიატ. 450 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ბზას. თავნი-ვალი—4,902 მან., გადასახდელი—217 მან. 39 კაპ., სულ—5119 მან. 78 კაპ.

**ციციანოვი,** დავით ივანეს-ძე. სახნავ-სათესი და საძოვარი და ტყე, ზომით—87 დესიატ. 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ქვემო-ნიჩბისში. თავნი-ვალი—3,929 მან. 15 კაპ., გადასახდელი—255 მან. 26 კაპ., სულ—4,184 მან. 41 კაპ.

**ორბელიანი,** ვახტანგ ვახტანგის-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი, ადგილები, ზომით 1434 დესიატ. 1120 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, მუსიყალას და შინდლიარს. თავნი-ვალი—10,804 მან. 85 კაპ., გადასახდელი—711 მან. 99 კაპ., სულ—11,516 მან. 84 კაპ.

**თარხან-მოურავისა,** მარიამ ბიძინას ასული. სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით—545 დეს. 1645 საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზრაში, სათუხარლოს. თავნი ვალი—6,581 მან. 7 კაპ., გადასახდელი—179 მან. 11 კაპ., სულ—6,760 მან. 18 კაპ.

**ამილახვარი,** ამირინდო ამირინდოს-ძე. სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, ზომით—142 დესიატ. 1656 საჟ. ტფი. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი—2945 მან. 18 კაპ., გარდასახდელი—136 მან. 12 კაპ., სულ—3081 მან. 99 კაპ,

**ვარლამოვი,** ალექსანდრე იაკობის-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი ადგილები, ზომით—266 დესიატ. ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. თხინვალს. თავნი ვალი—4,911 მან. 30 კაპ., გადასახდელი—328 მან. 42 კაპ., სულ—5,239 მან. 72 კაპ.

**ფარაქოვი,** ივანე ადამის-ძე (ადრინდელი მამული ანდრონიკოვისა). სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები და ჯაგნარი ტყე, ზომით—4,765 დესიატ. ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ლომბალოს. თავნი ვალი—58,935 მან. 60 კაპ., გადასახდელი—4442 მან. 47 კაპ., სულ—63,378 მან. 7 კაპ.

**მაღალოვისა,** ნინო სარდიანის ასული. ვენახი, ზომით 6 დესიატ. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეს. თავნი ვალი—1,700 მან., გადასახდელი—109 მან. 60 კაპ., სულ—1809 მან. 60 კაპ.

**აგალოვი,** სიმონ ივანეს-ძე. ვენახი ზომით 2 დესიატ. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჩუმლაყს. თავნი ვალი—2000 მან. გადასახდელი—65 მან., სულ—2065 მან.

**მირიანოვისა,** ნინო დავითის ასული. ვენახი, ზომით—1440 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფ. გუბ. გორის მაზრაში, ხიდის-თავში. თავნი ვალი—400 მან., გადასახდელი—36 მან., სულ—436 მან.

**პეტრუსოვი,** დარჩო ბაბას-ძე. სამი ვენახი, ზომით—1 დესიატ. 1800 ოთხ-კუთ. საჟა ტფ. გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ცხინვალს. თავნი ვალი—1200 მან., გად. ხდ.—62 მან. 88 კაპ., სულ—1262 მან. 88 კაპ.

**ზანდუკელი.** ოტია გიორგის-ძე. ვენახი, ზომით—7 დესიატ. ტფ. გუბ. დუშეთის მაზრაში, სოფ. არაგვის-პირთან. თავნი ვალი—2000 მან., გადასახდელი—132 მან., სულ—2132 მან.

**ვახნაძე,** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე. ვენახი, ზომით—1 დესიატ. 1200 ოთხ-კუთ. საჟ. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეს. თავნი ვალი—500 მან., გადასახდელი—47 მან. 12 კაპ., სულ—547 მან. 12 კაპ.

**ვახვახოვი,** ზაქარია ივანეს-ძე. ვენახი, ზომით—7 დესიატ. 920 ოთხ-კუთ. საჟ. ტფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. კურდღელაურს. თავნი ვალი—2000 მან., გადასახდელი—186 მან., 40 კაპ., სულ—2186 მან. 40 კაპ.

**რუსიევისა,** ელისაბედ ივანეს ასული. საბაღე და სამოსახლო ადგილები, ზომით—1470 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. კურდღელაურს. თავნი ვალი—500 მან., გადასახდელი—33 მან. 20 კაპ., სულ—533 მან. 20 კაპ.

**ანდრონიკოვისა,** ნატალია გრიგორის ასული. ვენახი, ზომით—$1^1/_2$ დესიატ. ტფ, გუბ. სიღნაღის მაზრაში. სოფ, ვეჯინში. თავნი ვალი—1200 მან., გადასახდელი—74 მან. 88 კაპ., სულ—1274 მან. 84 კაპ.

**ვარლამოვი,** ალექსანდრე იაკობის-ძე. ვენახი, ზომით 7 დესიატ. 600 ოთხ-კუთ. საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში. სოფ. საგაბაშვილო თხინვალს. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი—96 მან. 88 კაპ., სულ—2096 მან. 80 კაპ.

**ბარათოვი,** ნიკოლოზ გრიგორის-ძე. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, ზომით—230 დესიატ. 520 ოთხ-კუთ. ტფ გუბ. და მაზრაში, სოფ. ქვემო-წერაქვთან. თავნი ვალი—2000 მან; გარდასახდელი—252 მან., სულ—2252 მან.

**მკალავიშვილები;** სერგეი და ალა ვართანის-ძენი. ბაღი და ვენახი, ზომით—$^1/_2$ დესიატ. ტფ. გუბ. დუშეთის მაზ., სოფ. მუხრანს. თავნი ვალი—600 მან, გადასახდელი—48 მან, სულ—648 მან.

**ერისთავი,** რაფიელ დავითის-ძე. სათიბი ადგილები და ტყე, ზომით—204 დესიატ. და 1200 ოთხ-კუთ. საჟ. ტფ. გუბ. და მაზრაში, ბოჭორმას. თავნი ვალი—2,000 მან., გადასახდელი—94 მან. 25 კაპ., სულ—2094 მან. 25 კაპ. ეს მამული, როგორც თ. ერისთვისავან შემოტანილ ქალალდიდამ სჩამს, ნინო არტაზოვის კუთვნილებაში გადასულა.

**მაყაევისა,** ანნა რევაზის ასული. ვენახი, ზომით—3 დესიატ. 540 ოთხ-კუთხ ტფ. გუბ. თელავის მაზრაში სოფ. რუის-პირს და იყალთოს. თავნი-ვალი—1,600 მან., გადასახდელი—111 მან. 24 კაპ., სულ—1,711 მან. 24 კაპ.,

**ჯორჯაძისა,** ნინო ივანეს ასული. სამი ვენახი, ზომით 7 დესიატ. 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ: გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ვაჯინსა და ტურის-ციხეს. თავნი-ვალი—1,800 მან., გადასახდელი—125 მან. 36 კაპ., სულ—1,925 მან. 36 კაპ.

**გორბოვსკი-ზარანეკ,** ვალერიან მიხეილის-ძე. ხუთი ნაჭერი მიწა შენობებით, ზომით 2 დეს, 1200 ო. კ. ს. ტფ. გუბ. ახალ-ქალაქის მაზრაში, სოფ. ბაგდანოვკას, არლოვკას და პხვ. თავნი-ვალი—2,000 მან., გადასახადი—114 მან. 91 კაპ., სულ—2014 მან. 91 კაპ.

**ანდრონიკოვისა,** ქეთევან მიხეილის ასული. ვენახი, ზომით 4 დესიატ. 1599 ო. კ. ს. ტფ. გუბ. სიღნაღის მაზ., სოფ. ბურჯაანს. თავნი-ვალი—2,000 მან., გადასახდელი—96 მან. 80 კაპ., სულ—2,096 მან. 80 კაპ.

**ერისთავი,** იოსებ დავითის-ძე. ტყე, ზომით 183 დესიატ. 1920 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თავნი-ვალი—2,000 მან., გადასახდელი—65 მან., სულ—2,065 მან.

გასყიდვა ამ მამულებისა, ბანკის წესდების § 18 ძალით, დაიწყება ზემოხსენებული ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გარდასახადი სარო და ხარჯისა.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილ იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთი; შეიძლება აგრეთვე ბანკმა ვალი მამულის მყიდველზე გადაიტანოს; ვალზე შემოსატანი ფული და სხვა გარდასასახადი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შეტანილი.

თუ დანიშნულ დროს, ამ წლის 7 ქრისტეშობისთვეს, ვერ გაისყიდა ეს გასასყიდად დანიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 21-ის ძალით, მეორე და უკანასკნელად დაინიშნება ვაჭრობა (ტორგი) 21 დეკემბრისათვის.

ბენკის წესდების § 16-ის ძალით, ვალის ამღებს უფლება აქვს რაც გადასახადი ხვდება, თავის სარგებლითა, ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე სხვა ხარჯიც, რაც იმის მამულის გასასყიდლად დანიშვნისათვის დაეხარჯა ბანკს, გასყიდვის (ტორგის) დღემდინ შემოიტანს ბანკში.

(3—1)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Ноября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი